



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გეგელია ლილი ვლადიმერის ასული

გეგელია ლილი ვლადიმერის ასული (12. VIII. 1922, ქუთაისი, – 21. XI. 2000, თბილისი), საესტრადო მომღერალი. საქართვე. სახ. არტისტი (1989). 1939–41 სწავლობდა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტზე. 1942–47 საქართვე. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სოლისტი იყო. პარალელურად ვოკალურ ხელოვნებას ეუფლებოდა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში (პროფ. ნ. ბუზოლლისთან). 1956-იდან იყო საქართვე. რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის (ახლანდ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაცია) სოლისტი (რადიოს ფონდში ინახება მისი შესრულებით ჩანერილი 200-ზე მეტი სიმღერა). 1956 მიწვეული იყო საქართვე. სახელმწ. საესტრადო ორკესტრ „რეროს“ (ხელმძღვ. კ. პევზნერი) სოლისტად. ამავე წლიდან საქართვე. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტია. გ-ს ჰქონდა სასიამოვნო ტემბრის, ხავერდოვანი ხმა, შესრულების თავისებური, ორიგინ. მანერა. მის მიერ შესრულებული სიმღერებიდან გამოირჩევა ლ. იაშვილის „ია, ია“, კ. პევზნერის „გამოდი“ და „როცა ფანრები ინთება“, ო. თევდორაძის „მოსკოვის ჩირაღდნები“, აგრეთვე ძველებური რუს. რომანსები და სხვ. გახმოვანებული აქვს სიმღერები ქართ. კინოფილმებში. ავტორია არაერთი საესტრადო სიმღერისა ესენია: „გელათი“, „ანანურის ექსპრომტი“, „უფლისციხესთან“, „მოდოდა ნინო მთებით“, „ერთის პირობით“ (ა. კალანდაძის, მ. ლებანიძის, ჯ. ჩარკვიანის და სხვ. ლექსებზე). სხვადასხვა კოლექტივთან ერთად გამოდიოდა საზღვარგარეთ (ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გერმანია და სხვ.). 1962 გახდა საკავშ. რადიოს სიმღერის ფესტივალის ლაურეატი.

---